№ 5 (1375) მარტი 1972

ლიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

ნახ. გასია ქალაქიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იტყოდით დიასახლისის შრომაზე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფასო ქალებო!

თქვენს დღესასწაულს აღვნიშნავ გულწრფელი
აღტაცებითა;
ყოველ სეკუნდში გახსენებთ სიყვარულით და ქებითა,
ეს სარვამარტო მილოცვა მე მარტო თქვენთვის ვინებე,
ქალთა და კაცთა, თუმცაღა, მზე სწორად მოეფინება.

დაგსვეს მმართველად, უფროსად, პროფესორად თუ
მინისტრად...
ძვირად დავუჯენ სუყველას თქვენს ქალობაზე ძვირის
თქმას.
ხართ მომვლელები დაზგისა, ჩაის, ყანის და ვაზისა...
„ლეკვი ლომისა სწორია...“ იცოდეთ, მეც ამ
აზრის ვარ!

ნიანგი



ნახ. მამია გელაშვილისა

— რად გინდა, ქალგატონო, ხმლით თავზე დადგომა, დღეს ისედაც დავლევ, 8 მარტია!

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მეხუთე გოგო შემმეძინა.
— მერე რა მოხდა, შე კაცო, გოგო და გიჭი ახლა მრთია.

ერთი 8 მარტის ამბავი

სულითა და გულით გვინდა მივულოცოთ ჩვენს სახელოვან ქალებს დიდი დღესასწაული და ამასთან, ბოდიშის მოხდით, მოვუთხროთ ერთი არცთუ ისე სასაცილო ამბავი:

თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკში გადაწყვიტეს, რომ ღირსეულად აღენიშნათ ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი. აბა, აქ ცუდი რა არის და ამ პარკის დირექტორის — მამია ზამბახიძის კომფორტულ კაბინეტში გაიმართა ზეიმის აღმნიშვნელი საორგანიზაციო კომიტეტის თათბირი.

დაადგინეს:

1. საზეიმო სხდომა მოწვეულ იქნას 6 მარტს, დღის 2 საათზე.
2. ბანკეტი გაიმართოს კულტურისა და დასვენების პარკის წითელ კუთხეში.
3. თამადის ვაკანტურ ადგილზე წინასწარ დამტკიცდეს პარკის დირექტორი **მამია ზამბახიძე.**

დღის 2 საათზე სხდომაც საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას, რომელიც ქალთა დღეს მიეძღვნა, თითო-ოროლა ქალი დაესწრო. დანარჩენები — კულტურისა და დასვენების პარკში მომუშავე ქალები — უკლებლივ დასაქმებული იყვნენ „ქალთა დღისადმი“ მიძღვნილი ბანკეტის მზადებაში.

საზეიმო ნაწილი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან თავმჯდომარით დაწყებული დამსწრე საზოგადოებით დამთავრებული, პირველი სიტყვის გაგონებისთანავე, ყველა გაიძახოდა: „რეგლამენტი, რეგლამენტი, სიტყვა კარგია, მაგრამ თან საქმეო“.

სუფრას, როგორც თამადა, სათავეში ჩაუდგა დირექტორი **მამია ზამბახიძე** (სხვანაირად ვერც წარმოედგინათ). დირექტორი-თამადა მთელი სერიოზულობით შეუდგა „საქმეს“. თანამშრომლები — სუფრის წევრები — იოლად ემორჩილებოდნენ ავტორიტეტულ თამადას და სადღეგრძელოები ღვინით სავსე ჭიქებით ბოლომდე იცლებოდა, მაგრამ ნათქვამია, ღვინომ კასრი გახეთქა და კაცს რას უზამსო, სწორედ ასე დაემართა ამავე პარკის საწყობის გამგეს **მიხეილ მინაშვილს.** როგორც კი რამდენიმე ჩაის ჭიქა ღვინო გადაჰკრა, **მიხეილ მინაშვილს** სიმღერის საღერღელი აეშალა, ჯერ უადგილოდ და უდროოდ წამოიბღავლა, რისთვისაც უკანასკნელი გაფრთხილება მიიღო. წესრიგის დამრღვევს მაშინვე მოუწოდეს წესრიგისაკენ. ამ უკანასკნელმა იუკადრისა და სუფრაზე არევა დაიწყო. თქვენ წარმოიდგინეთ, იგი არც დირექტორ-თამადას დაგიდევდათ არაფრად.

მამია ზამბახიძე განაწყენდა: როგორც თამადას თუ არ მემორჩილები, აბა, ვნახოთ, როგორც დირექტორი თუ არ მოგიყვან ჭკუაზეო. ეს გაიფიქრა ზამბახიძემ, თამადობა შეწყვიტა და, სამაგიეროდ, როგორც დირექტორმა გასაღებები აარაჩხუნა, კაბინეტში გადაინაცვლა. მან მთვრალი სუფრის წევრები კაბინეტში მიიწვია თათბირზე და თანამშრომელი **ჯუმბერ ფანცულაია მინაშვილთან** აფრინა, სუფრიდან დირექტორის სასწრაფო თათბირზე გამოცხადდიო.

მინაშვილი ჯიქურ შეიჭრა დირექტორის კაბინეტში, მიეჭრა **ზამბახიძეს** და გადაწყვიტა, დირექტორისთვის სკამი წაერთმია. და მართლაც, ალბათ ცოტა ხნით მაინც დაიკავებდა იმის სკამს, რომ „თათბირის“ მონაწილე თანამშრომლებს **ჰამლეტ ხელიძის** მეთაურობით, არ ემარჯვნათ და „პარტიზანული“ წესით გაუფროსებული **მინაშვილი** ცივად გარეთ არ გამოეყვანათ.

— მაშ, ეს შენა ხარ, დირექტორის სკამზე დაჯდომაში რომ მიშლი ხელს? — წამოიღრიალა **მინაშვილმა,** ჯიბიდან იშიშვლა დანა და გულმკერდის არეში ჩაარტყა **ჰამლეტ ხელიძეს.**

ასე დამთავრდა ეს ამბავი. თუმცა არა: საბოლოოდ ბევრი რამ გაირკვა: **მიხეილ მინაშვილი** ადრე ორჯერ ყოფილა ნასაშართლევი. შემდეგ გვარი გამოუცვლია (მისი ნამდვილი გვარი **მინასოვია).** გუნებაში პარკის დირექტორს სკამზე ოცნებობდა თურმე. **მინაშვილ-მინასოვს** 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც შეეხება პარკის დირექტორს **მამია ზამბახიძეს,** არც ის დატოვა სახალხო სასამართლომ (თავ-რე **აბელ გეგია)** გულნაკლულად. მის მიმართ გამოიტანეს კერძო განჩინება, რომელიც გადაეგზავნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის. სამუშაო საათებში ქეიფის მოყვარულ დირექტორს უთუოდ ჭკუას ასწავლიან... თუ ისწავლა.

ზ. მესენგისერი,
საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანა-ჩანგლის ფილოსოფია

ბავშვობა კულტურულ ოჯახში გავატარე პეტერბურგის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტდამთავრებული სამი უშვილო დეიდა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჩემს აღზრდაში.

ჭამის დროს სულთამხუთავებივით მადგნენ თავზე.

— სკამზე სწორად დაჯექი, თინიკო! ჩანგალი — მარჯვნივ, დანა — მარცხნივ; საჩვენებელი თითი უნდა დაადო ჩანგლის შუა ნაწილს, თევზი ჩანგლით არ ჭამო... — და სხვა და სხვა. მე კი ბებიაჩემ პელაგიას— გურული ქალის რჩევა მერჩია ყველაფერს:

— მოუსვი, ნენა, მოუსვი ხელით ისე, რომ თეფშს გარეცხვა არ დასჭირდეს. ლამაზი ქმარი გეყოლება! მე თუ უდანაჩანგლოდ გავზარდე ჩემი შვილები, იმიზა ვერ ივარგენ! თეფში მე სულ არ მქონია, დოუდებდი ლობიოს ჭადზე ბაღნებს და ისე მიირთმევდნენ მადიანად.

როგორც იქნა, ვისწავლე დანა-ჩანგლის ხმარება და კულტურული ქალის სახელიც გავინაღდე მეგონა, მაგრამ... ჩემდა საუბედუროდ, უცხოეთიდან შემოვიდა დანა-ჩანგლის ახალი ხმარების წესი: დანა — მარჯვნივ, ჩანგალი — მარცხნივ. ახლა კი დაიწყო ჩემი ნამდვილი ტანჯვა. ახლობლებში რა მიჭირს, იოლად გავდივარ. ჩვენს სამოთახიან ბინაში, სტუმრიანობის დროს, ჩემი დასაჯდომი ადგილი არასდროს არ არის და, სამზარეულოში ფეხზე მდგარს, დანა-ჩანგალი სულ არ მჭირდება. მაგრამ, ვაი ჩემი ბრალი, თუ „სვეტში“ მოვხვდი. მიკავია საცოდავად მარჯვენაში დანა და თან იმას ვფიქრობ, ვინც ეს წესი მოიგონა, ის მომცა-მეთქი ახლა აქ და გამაყრევინა ეს დანა, მადლი იქნება!

მანამ მარცხენა ხელით ჩანგლით საჭმელს პირთან მივიტანთ, ხან კაბაზე ვიყრი, ხან ცხვირთან მიმაქვს და ხან — ყურთან.

ჩემს თავს არ დავეძებ, გვერდში მჯდომი მეზობლები არ მყავს კარგ დღეში. ერთხელ, კინაღამ ჩემს გვერდში მჯდომს ჩავუდევი ჩემი ლუკმა პირში.

თუ შემეწია ღმერთი და სუფრაზე წვნიანი მოიტანეს, ხომ კარგი. მაგრად მიკავია მარჯვენა ხელში კოვზი, მეორეზე კი თავს ვიკავებ.

— გასუქების მეშინია, ბატონო, — ვამბობ და თან ნერწყვი მომდის ცვრიან სუკის მწვადებზე, ან ჩანგლით საჭმელ სხვა გემრიელ კერძებზე.

ოჰ, ვინც პირველად მარჯვენაში დანა დაიკავა!

თინა ჟორჟოლიანი

პუბლიცისტური პაროდიები

მამაცი მონადირე

სოფელ წკეპლიანის მეფრინველეობის ფერმას მელია შეეჩვია, გაავებული მხეცი არაფერს ერიდებოდა და ერთ თვეში ქათმების სულადობა გაანახევრა. სასოწარკვეთილმა ფერმის გამგემ დახმარებისთვის მიმართა განთქმულ მონადირეს სოფელ წკეპლიანში მცხოვრებ გერონტი მამალაძეს. გერონტიმ თან წაიყვანა სამი ბიძაშვილი: სერაპიონ მამალაძე, ლავრენტი მამალაძე და სამსონ ბუნტური, რომლებიც მზის ჩასვლისას ხეზე აძვრნენ და მოხერხებულად ჩაუსაფრდნენ ნადირს. მელამაც არ დააყოვნა, გამთენიისას გამოჩნდა. იგი აინუნშიც არ აგდებდა მონადირეებს და ურცხვად მიემართებოდა ფერმისაკენ. ის იყო მზაკვარი ფერმის ჭიშკარში შესხლტომას აპირებდა, რომ... „ცეცხლიო!“ — დასჭექა გერონტიმ და ოთხმა თოფმა რვაჯერ დაიქუხა. ამასობაში ის ტოტი, რომელზეც გერონტი იჯდა, ჩატყდა და მონადირემ ფეხი იღრძო. გაალმასებული მხეცი ჯერ სიკვდილს არ აპირებდა. ხიფათი თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ მამაცი გერონტი არ დაიბნა, პირიქით, უნარიანად ხელმძღვანელობდა მონადირეთა თითქმის ბრიგადას, კიდევ ექვსჯერ იქუხა სამმა თოფმა. ხმაურზე ფერმის მუშები გამოცვივდნენ და ხელკეტებით მოუღეს ბოლო გამხეცებულ მხეცს. როდესაც თოფისწამლის კვამლი გაიფანტა, მკვდარი მელა და ფეხნაღრძობი, მაგრამ ბედნიერი გერონტი ფერმაში შეათრიეს, სადაც მამაც მონადირეს პირველი დახმარება აღმოუჩინეს, ხოლო მხეცს თავისი ადგილი მოუჩინეს.

მონადირეც ასეთი უნდაო, სიამაყით ამბობენ გერონტის შესახებ მადლიერი თანასოფლელები.

როცა მარცხენამ იცის, მარჯვენა რას აკეთებს!

კამეჩისფერი ღრუბლები და ზღვიდან მონაბერი სუსხიანი ქარი კარგს არაფერს უქადდა გვიანი შემოდგომის უკუნეთ ღამეს. აშკარა იყო სულ რამდენიმე წუთში გაავდრდებოდა. სოფლის ორღობეში მიმავალ მოწინავე ჩაის პუნქტის გამგეს — მამონტი ღაჭავას, რომელიც უკანასკნელი ყანწის დალევის შიშით სუფრიდან ადრე გამოიპარა, სიმღერის ხმა შემოესმა. მიუხედავად იმისა, რომ მამონტი ნასვამი იყო, მაინც მიხვდა, რომ ეს სიმღერა მთლად მხიარული კაცისას არ ჰგავდა და იქითკენ გაეშურა, საიდანაც ხმა მოდიოდა. ამასობაში წვიმამაც წამოუშინა. მამონტი ღაჭავამ თხრილში ჩავარდნილი კაცი შენიშნა, დასახმარებლად დაიხარა, მაგრამ სველ მიწაზე ფეხი დაუსხლტა და ისიც თხრილში გადაეშვა. მიუხედავად იმისა, რომ მამონტის თვითონაც ძალიან უჭირდა, მაინც მოახერხა ხელი ჩაევლო განწირულისთვის. წვიმა კი გაძლიერდა. თხრილში წყალი სულ უფრო მატულობდა და მატულობდა. სოფლის ხელმძღვანელობის მარცხენა ხელმა — პუნქტის გამგე მამონტი ღაჭავამ ომახიანი ყვირილით მოახერხა მშველელის ხმობა. ეს არ გამოპარვიათ მეზობელ სახლში მცხოვრებ ბავშვებს— მე-7 კლასის ფრიადოსან მოსწავლე ველოდი არდაშელიას და მის უმცროს დას — არველოდის. თვალის დახამხამების დროც არ იყო, ბავშვები თვალის დაუხამხამებლად, უყოყმანოდ გაჩნდნენ შემთხვევის ადგილზე, რომელსაც მამონტის ნაკვალევით მიაგნეს. ისინი მშობლების რეზინის ჩექმებში გამოწყობილნი, ტანზეგაუხდელად გადაეშვნენ თხრილში და რის ვაივაგლახით ნაპირზე ამოათრიეს სულ ერთიანად გალუმპული უცნობი და მისი მშველელიც.

როგორც შემდეგ გამოირკვა, უცნობი ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მარჯვენა ხელი, აგრონომი პართენ ძიგუა ყოფილა, რომელიც სუფრიდან მამონტიზე ერთი საათით ადრე გამოპარულიყო.

ასე იხსნა სოფლის მარჯვენა ხელი მოწინავე პუნქტის გამგემ, სოფლის მარცხენა ხელის მამონტი ღაჭავას მოსაზრებულობამ.

ლალი გვასალია



ხახ. ჯ. ლოლუასი

— რატომ არ მოიყვანე უფროსთან წვეულებაზე შენი ლამაზი ცოლი?
— რა ვიცი, კაცო, თუ რამე მოეწონა, სულ „გავცვალოთ, გავცვალოთო“, იძახის.

— ცოლს რატომ არ ირთავ?
— ავად შემხვდებარეს, ცოლს რა მოგაყვანინებს?

ნახ. ბ. კეთილაძე

ROMGORI MIINIO BULBULSMA BINA

ერთი ბულბული გალობის საგარჯიშო ოთახს 10 წელი ეღოდა, ულრანი ტყიდან მოფრენილმა ღობემძვრალამ კი ორ დღეში მიიღო.

გადარიეს ბულბული გერატმა და შაშმა: როდემდე უნდა იყო ასეთი უშნო, ამ ნაკრძალში ბერდები და ულრანიდან ჩამოფრენილმა ღობემძვრალამ როგორ უნდა გაჯობოსო. კოდალამ კი დუმატა იცოდე, ვინც უკაკუნებს, იმას ულუბენ კარებსო.

იმდენი სარიგარი დაწერა გამწარებულმა ბულბულმა, რომ ინტრიგანის სახელი შეერქვა.

დაფრთხნენ ფრინველთა გამგებელნი: ვაითუ, არწივთანაც იჩივლოს და დიდმა მბრძანებელმა ჩვენი ბურდღაც აღარ დატოვოსო.

სასწრაფოდ მისცეს ბულბულს გალობაში საგარჯიშო ოთახი და თან უთხრეს: არ გეგონოს, შენი საჩივრების შეგვეშინდეს, გეგუთვნოდა და იმიტომ მოგეცითო. ბულბულმა ამაზე არაფერი უპასუხა, მხოლოდ მოაგონდა კოდალას სიტყვები: ვინც უკაკუნებს, კარსაც იმას ულუბენ!

ფლორა ნემსაძე

ИЛО, ЭЛО...

„ამ საქმისთვის, ამ პოსტზეო
არ ვარგაო გაბრიელი.
იპარავსო, გვატყუებსო...“ —
არვინ ჰყავდა მადლიერი.

იბუზღუნა, იჭორაკა,
იმან, ამან,
ამან, იმან,
ამ დროს გაბომ ჩვენს სოფელში
დიდი სახლი წამოჭიმა!

რაიცენტრში საჩივარი
საჩივარზე მიდიოდა...
და, რადგანაც ხელმძღვანელებს
სხვა საშველი აღარ ჰქონდათ,
კოდეე უფრო მაღალ პოსტზე
დასვეს ახლა გაბრიელი...

„ილო, ელო,
ქრთამს იღებსო“, —
არც აქ დარჩნენ მადლიერი...
იბუზღუნა, იჭორაკა
იმან, ამან,
ამან, იმან,
ამ დროს გაბომ მშვენიერი
ლუჯჯი „ვოლგა“ შეიძინა..

რაიცენტრში საჩივარი
საჩივარზე მიდიოდა
და რადგანაც ხელმძღვანელებს
სხვა საშველი აღარ ჰქონდათ,
კოპვაჭრობის თავმჯდომარედ
დასვეს ახლა გაბრიელი...
ნეტა, იქ ვის გაახარებს,
ვინ დარჩება მადლიერი?

ვინ რას ფიქრობს,
ვინ რას ამბობს,
ეს, ილო,
ილო, ელო,
ამ დროს გაბო რაიცენტრში
სახლის ყიდვას აპირებსო.

მზია ჩხეტიანი

კაცები ქალების შესახებ

● **სარკე** ქალს ერთადერთი მეგობარია, რომელთანაც თავის ნაკლოვანებების გამხელას არ ფრთხილობს.

● **ზოგიერთი** ქალიშვილი თავის შეყვარებულს ისე ეპყრობა, როგორც კატა დაჭერილ თაგვს: საკმაოდ ხანგრძლივი თამაშის შემდეგ, გაქცევისას, თათს აჭერს.

● **მეთვეზეები** რომ თავიანთ საქმეში ისე დაოსტატებულები იყვნენ, როგორც ქალები ქმრების მოძებნაში, მაშინ ზღვაში თევზი გაწყდებოდა.

● **ქალები** უფრო მეტად ჩაცმულებით „იკვებებიან“, ვიდრე საჭმელით.

● **კანონებს** კაცები ადგენენ, ზნე-ჩვეულებებს კი — ქალები.

● **თვრამეტი** წლის ქალიშვილი შეშით ნავგს სახლს ჰგავს, რომელიც ადვილად იწვის. არც ერთ დამზღვევ საზოგადოებას არ შეუძლია დაზღვიოს იგი ამ ცეცხლისაგან.

● **ზოგიერთ** ქალთან თამბდალობა ვერცხლისწყალს ჰგავს: შეეხები თუ არა, გაიფანტება.

● **მოხუცი** ქალები სიყვარულს პოლიტიკაში გადაყენებულ მინისტრებს ჰგვანან.

ჯ. კარონინიანი

„სინკა-ღიღა“

ნაფტალინი,
ნაფტალინი,
ნახეთ, ცამდე ატანილი!
ბოხჩა მოაქვს
ვიდაც ბოშას
და ბოხჩიდან
(საოცრება!)
გამოიკან,
რა არ მოსჩანს:
სახის კრემი,
ქალის წინდა,
მამაკაცის ჰალსტუხები,
რა და რას არ გთავაზობენ
თავნება და
შავტუხები...
მოკოლადი,
მარმალადი,
ჩეხური თუ
გერმანული,
გროში თუნდაც
არ გაგაჩნდეს,
გვერდს გულერიოად
ვერ აუვლი...
„მოკეტ ბიტის“,
„ბეტეს“,
„კენტის“,
სურნელება ატანს სულში...
„აბა, მექუთად
ხომ ვერ მოგეცემ,
გენაცვალე კაკალ გულში!“
„ფილიპ მორისს“ ვინ არ
მოსწეკს
ბოთლი არყის საფასურში?
აბა, ჩქარა,
ჩქარა, თორემ
გაიყიდა,
აღარ დარჩა,
ნეიღონი,
ბარალონი,
ბაილონი,
უცხო ფარჩა
დეფიციტი და იმპორტი,
ქორ-ვაჭრებს რომ აშენებენ,
რა იქნება, ჩვენს ცარიელ
ვიტრინებსაც ამშვენებდნენ?

ეთერ სამხარაძე-ჯლიმაძე



— ჩვენი მზოა ქალებო, მიიღეთ ჩემგან სალღესასწაულოდ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — ცხელი წყალი!

ნახ. ბ. ალაფრანგისა

— ამხანაგებო! ვიდრემდე დეზოდეზონას ლარჩოკაზე ელოდებოდნენ, ლირაქციის სანელით ეულოცავ თავ ქალთა დღეს — 8 მარტს და გაგაცემ ფასიან საჩუქარს — იმპორტული ცხვრისა-ხოთეების კოფალტებს!

ნახ. ბ. ფირფიტაშვილი

გილოცავთ!

ზოთასებურად
მისი სახელი — 8 მარტი, არს ესე საცოდნარია.
ეზე, ქალთა დღეს რომ ამოდის, ეერკოსგან სწერარია,
ეერობენ, ხვმენ, ეკალეფთა ბაგეს დაბადება არია,
ამ დღეს ჩვენც ეტკებნეთ, თუმცაღა სხვა დღეს არ შესაწყენარია.
ზრდილობას, სიტყვა-პასუხსა გამოყენენ, რაც
გვეპადია,
უოქვენოდ, ღმერთო მოგეკალი, თავს არ ეიეიოცხლებთ
ქალო დაა,
ესაა ჩვენი მეფარა და ჩვენი განაცხადია,
ამრავლეთ ქართველის შვილები... „ძუ ეოოს,
თუ ნდა ხვადია“.

ტაბოსებურად
ო, ქორაკეარო, ვინ მოგიგზმო ჩვენად წინამძღვრად,
ჩვენი ცოლების და ნერგების შენ აღმაშფოთრად,
შენი ჯიბე რომ დაემსგავსა ნოეს კიდობანს,
გვარქვი, ჩვენ როგორ შეეინაზოთ სულის მშვიდობა?

ДЕДИОТИОЛЕБУРАЗЕ
ანმინე, ბედის მძებნელო,
მიბეკეგ ძველოლოძეელ მცენებასა,
თუ ნამეტნავად ჰპეკენი
შენს „ნატოს“ კემოფენებასა,
ტანმორჩილი ჰქეთ ეკჭერდაკ,
წუნს დასდებ ამოკენებასა.
მაშინ სულ გამოეთხოვე
ილბალს და გათხოვებასა!..

ВЕНИОЛЕБУРАЗЕ
ბაზარში შევედ შენაღონები,
მსურდა მეფოდა ვარდის კონები,
მანეთს ვაძლევდეთ თავმოწონები,
უარი მეტყოფენენ დამამონები.

ИЛОИАЗЕБУРАЗЕ
დღეს დამეკა კონტროლი,
ეზრი ალარ აქეს ქიდილს...
ხახლში კი ჩემი ცოლი
მეტის სიმწრითა წყიბს.
დადინ?ე-დაწყნარდა ბოლოს
(ოავი მისკდება, ეკვდება).
სიფეფერო, ხავაერელო,
შენ რის�დ დაწყნარდები?!..

ААХАНЕБУРАЗЕ
თმა-ფირუზ, ბაგე-ზურმუხტო,
ლამით მზეკ, დღისით მთვარეო,
„ვოლგით“ რომ ნამოიკრიდეს,
მოკაშკაშ-მოელვარეო,
მიეანი, თვალს ნუ მარიდებ,
ცოდო ვარ, შემიბრალეთ!...

ЗАДАЗЕБУРАЗЕ
ქალო, ეგზეე ჩეკმიანი,
ჩამაგოდეი მეტროშია,
გამიკვირდა, ეგნაცვალე,
არ მეწყნა ჩვენს დროშია.
თან შარალეკ რომ ჩაგიცვამს,
„ბაკსიც“ მოდამ ვაფირსთ,
ვერ გიცანი, ლეფალი ხარ,
ლამარა თუ ლარისთ,
შავოვალურარხან რაგ ვინდოდ
სალეზავი ოვალისთ?!..

თაყვანისცემით ზ. კაციაშვილი

— ქსენია, დილიდან რომ ელოდები დირექტორს, რა საქმე გაქვს ასეთი?
— არაფერი, ბოზო, გაგრძელებულები ვარო, 8 მარტი უნდა მოგვილოცოს!

ᲐᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ

სულ არ ჰქონდა ბავშვს მუსიკის
ნიჭი, მიდრეკილება...
რარ? ღმერთო კი მომკალი,
დედამ ასე ინება:
ჭმარს კარებში შეეგება
და ხელები გაშალა:
„სხვისი შვილი თუ მოეწყო,
ჩვენმა რა დაამავა?“
და მუსიკის ეაკვეთილი
გახდა საწამებელი...
აქეთ ბავშვი იტანჯება,
იქით — მასწავლებელი.
უთხრეს: ბავშვი ცოდვაო,
მანც არ დაიმალა...
მასწავლებელს თუ არ ზოგავ,
შვილმა რა დაგიშავა?!

ლილი ნუცუბიძე

ნახ. ბ. ფირცხალავა

— ვა, დღეს ერთი ქალი არა ჩანს, რომ რვა მარტი მივულოცო!

ჩვენი ეზო

ჩვენს ეზოში ორი კაცი თუ შეხვდა ერთმანეთს, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ისინი ნამდვილად ნადირობაზე ლაპარაკობენ: თოფზე, სროლაზე, ძაღლზე, ტყვიებსა და ნანადირევზე.

დიახ, ასეა. ჯერ მაბათი დილა გათენებულიც არ არის, რომ ჩვენი ეზოს მამაკაცები ჩასხდებიან მსუბუქ მანქანებში (იცოცხლეთ, ეს სიკეთე არ აკლიათ ჩვენს კაცებს!) და ჰერი, ვინ საით გაჰქუსლავს თოფებითა და ძაღლებით. ჩვენ, ქალებს კი, იმათ ლოდინში, ლამის არის, თვალები ამოგვიღამდეს. მერე დადგება კვირა საღამო და ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდებიან ჩვენი მონადირეები დაღლილები, დაქანცულები, მაგრამ აშკარად ნასიამოვნები და კმაყოფილები. ეზო ახმიანდება. კაცები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან, თავს იწონებენ ნანადირევით, ჰყვებიან ფათერაკებით აღსავსე ორი დღის საინტერესო თავგადასავლებს და ჩვენ, ქალები, სულგანაბულები ვუსმენთ, მერე კი... გათენდება ორშაბათი, ვავისტუმრებთ ქალები ჩვენს ქმრებს სამსახურში, შვილებს — სასწავლებლებში და კვლავ გრძელდება ლაპარაკი ნადირობაზე, ახლა უკვე ცოლები ვიწყებთ თავის გამოჩენას მეუღლეების საგმირო საქმეებით.

— ისეთი იხვები მოიტანა გუშინ ჩემმა ნიკუშამ, კარგი მოზრდილი ინდაურები გეგონება, რომელ ქვაბში მოვხარშო, წარმოდგენა არა მაქვს.

— უი, ზუსტად მაგ დღეში ვარ მეც... — ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს კარის მეზობლები.

— ვენაცვალე ნადირობის მომგონს, ბაზარში ხორცის რიგში მაინც აღარ მიხდება ყურყუტი. — თავმომწონედ ნაბავს თვალებს ჟუჟუნა.

— ახლა აღარ იკითხავ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის ნადირობას?

— კი, ჩვენ ვიკითხოთ, ვიხრჩობით აქ, ქალაქის ჭვარტლში, თორემ ჩვენი კაცები კვირაში ორი დღე ნატურალურ ჟანგბადს ყლაპავენ.

— თურმე ვის არ ნახავენ ხოლმე იქ, ტყეში, ვის არ შეხვდებიან... აი, მაგალითად, ამას წინათ, ჩემი ნიკუშა დათვის ბელს შეხვედრია პირისპირ. „რას აკეთებ, შე ყურუმსაღო, აქ?“ — უკითხავს ნიკუშას. „ვსეირნობო“, უპასუხებია იმას და უდარდელად გაუცინია. „ჰმ, შეხედეთ ერთი ამას, — გაჯავრებულა ნიკუშა, — დედაშენი, ალბათ, გულგასეთქილი გეძებს, შენ კი აქ დაუხეტები. ახლავე მოუსვი, ოქროს თორემ ისე გაგტყეპავ, შენი თავი ვეღარ იცნო „პარკში“. დათვის ბელი აკანკალებულა, თავქუდმოგლეჯილი გაქცეულა და ნიკუშას თვალის დახამხამებაც ვერ მოუსწრია. შავი დღე დავაწიე, ის დათვის ბელი ხელიდან რომ გაუშვა.

— აბა, რა უნდა ექნა? აქ ხომ არ ჩამოგიყვანდა?

— დიახაც, ყურით უნდა ჩამოეთრია ის მაწანწალა თბილისში.

— რად გინდა, ჟუჟუნა, დათვის ბელი? — გაუკვირდა ფაციას.

— მე კი არ მინდა, სამხეცეს ჭირდება. ჩავაბარებდით ბელს ზოოპარკში, ამაზე გაზეთში დაწერდნენ, სახელია! ის კი ჩამოათრევს ხოლმე ხოხბებს, იხვებს, კურდღლებს, დაურიგებს ნათესავებს, რომლებიც მადლობასაც არ გადირსებენ. კაცი უნდა პრაქტიკული იყო, ჩემი ნიკუშა კი ისეთი გულუბრყვილოა, ისეთი წინდაუხედავი, გაგიჟება შეიძლება...

— უი, ჩემი ვალიკოც მასეთია. იმის მაგივრად, მელიები ჩამოეტანა, რომ შარაზე გადამეკიდა, ხოხბებით გამივსო სამზარეულო.

— ჩემი სიკვდილი ახლავე! — ვიკივლე — ჩემს ჩახოხბილს მივხედავ, თორემ თუ ჩამესარშა ის ხოხობი, უსადილოდ დამრჩება ოჯახი.

— ნამდვილად ხოხბის ჩახოხბილს ხარშავ სადილად?! — მკითხა ფაციამ.

— რა იყო, რატომ გაგიკვირდა? განა შენ კი...

— გაჩე, თუ ქალი ხარ, — აკუსკუსდა ფაცია, — ხოხბის მომტანი რომ იყოს ვალიკო, ტელევიზორით შევყრიდი ქვეყანასს. ამ მონადირეების გადამკიდე, პატარა ჩვენც წავიტრაბახეთ, გვაპატიე! ხომ გაგიგია: ხარი ხართან დააბიო... შენი ჭირიმე, ხოხბის ფრთები მაინც გვაჩვენე, ამბობენ, ძალიან ლამაზიაო. — და ის იყო სამზარეულოში უნდა შევარდნილიყო, მაგრამ კარებში ჩავდექი და გზა გადავუღობე.

— თქვენი შიშით სიტყვა ვეღარ უნდა თქვას კაცმა?! — მომივიდა გული.

— რა მოხდა, გოგო, შორიდან მაინც შევვახედე იმ ჩახოხბილზე!

— სადაა ხოხობი, ხომ არ გადაირია, ქალო?!

ნანა კანდელაკი

გამომასყიდვინეთ ცოდვა

მე მხოლოდ ერთი დიდი ცოდვა მადევს: — ერთი შვილის დედა ვარ.

მოდამ, ისევ მოდამ მიქნა ეს. მაშინ ორი შვილი იყო მოდაში. მე, როგორც ულტრამოდის ქალმა, ერთის მეტი არ ვიყოლიე. სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ჩემი დედამთილი სულ მედავებოდა, ხან მაშინებდა: ერთის შემყურე — ღმერთის შემყურეო. ხან მეტყოდა: მე აღარ ვიქნები და სიბერეში მომიგონებ, ქალიშვილი რომ არ გაბადია. შე საწყალო, რძლის მოვლილი დედამთილი სად გინახავსო.

არც ქმრისაგან მაკლდა საყვედური.

შვილი ხომ, სანამ პატარა იყო, გულს მიწყალებდა: ხან ბიჭზე ატყდებოდა, მიყიდეო, ხან გოგოზე. ხვალეხვალეობით დაეაჩუმებდი ხოლმე. გაიზარდა და: და-ძმაში ვერა ვხარობ, ცალუღელა ვარო. ცალუღელა ხარ-მეთქი და ავდექ და ადრე დავაქორწინე.

ახლა ვემუდარები ჩემს დედისერთა შვილსა და დედამთილისერთა რძალს— დაეშურონ ჩემს ჯანს. გულწრფელად ვაღიარებ ჩემს წლოვანებას, გავალ პენსიაზე და მერე დამსახურებული ბებიის წოდების მოპოვებისათვის უნდა ვიბრძოლო. ისარგებლეთ ჩემი ენერგიით, დამაზრდევინეთ გოგო-ბიჭები, ამივსეთ სახლ-კარი, თუ თვითონ ვერ დავწვრილშვილდი, დამაწვრილშვილიშვილეთ მაინც!

სიტყვა ერთადერთი არ გამაგონოთ. ერთადერთი მარტო საქართველოა, თქვენ უნდა გამრავლდეთ!

დამაზრდევინეთ, შვილო, შვილიშვილები, გამომასყიდვინეთ ცოდვა!

ლალი მარტაშვილი

დიალოგი ავტობუსში

ავტობუსში ვჯექი, მშენებარე ქუჩებს თვალს გადევნებდი და ეფიქრობდი იმ „ნოვატორ-რაციონალიზატორებზე“, რომლებიც ოთხსართულიანი შენობის მასალით რვასართულიანს აგებენ, საშენ მასალას 60 პროცენტით ზოგავენ, რითაც მეზობლებს საშუალებას აძლევენ, ყოველდღიურად კურსში იყვნენ, რა ხდება გვერდით მობინადრესთან, რა უჭირთ, რა ულხინთ, ვინ მიდის, ვინ მოდის, რატომ და რა მიზნით? ვფიქრობდი იმ დიდ ეკონომიაზე, რასაც მინაკაბიანი მანდილოსნები კაბის დამოკლებით თავიანთი ქმრების ჯიბეებს აძლევენ.

ჩემი ფანტაზიები უკანა სკამზე მოკალათებულმა წყვილმა შეწყვიტა. აგერ, ყურისძირში მებუტბუტებიან, უნებლიედ მიზიარებენ თავიანთ შინაურ, მოუგვარებელ საქმიანობას. მათი საუბრიდან უკვე ვიცი, რომ ერთი პროკურატურის მუშაკია.

— შალვა, გუშინწინ თქვენთან უიღბლოშვილის საქმე მოიტანეს...

— გაქნილი რეციდივისტია, იმის გამოსწორებას არ დაადგა საშველი, შენ კი იცი, ჩემი სასიათი, მაგას ჭირის ოფლს ვადენ...

— ოხ, რას ამბობ, ბიჭო, არ გამომჭრა ყელი, ჩემი დეიდაშვილის მაზლია!..

— შე ღმერთძაღლო, ადრე ვერა თქვი? უიღბლო კი არა, იღბლიანი ყოფილა. ახლავე, მივალ თუ არა, მე ვიცი, შენ არ იჯავრო!..

მორიგ გაჩერებაზე მგზავრები ჩავიდნენ, ხოლო მათი ადგილი ახალმა წყვილმა დაიკავა. ახლა მათ გამიზიარეს თავიანთი საუბარი.

— გოგი, ხომ იცი, დღეს შვიდი ტონა თევზი მივიღე. ერთი კილოგრამიც არ გამიყიდია.

— რატომ, ბიჭო, არ ვარგა?

— რას ამბობ, წონა ოქროა! აბა, მაგის ჩიტი ვიყავი, ხალხისთვის ვიტრინები დამემტვრევინებინა?!

— მა 7 ტონას რა უნდა უყო?

— რას ვუზამ? ბიჭები მზად არიან, ისე აორთქლდება. მოხედვას ვერავინ მოასწრებს.

მერე ისინიც ჩავიდნენ და ახალი წყვილის საუბარი მოვისმინე. სულ ერთი მეორეზე უარეს ამბებს ვიგებდი. ავტობუსის ბოლო გაჩერებამდე მისვლას კი არ დაადგა საშველი, ისიც ამოვარდნილი იყო გრაფიკიდან.

დოდო ზურაგიშვილი

ქიდევ ერთხელ და უსასრულოდ სიდედრზე

ფელეტონებს ვწერ ცოლ-შვილზე, ცოლისდებსა და სიდედრზე,
სხვადასხვა ვარიანტებში და სულ სხვადასხვა სიმებზე.
აბა, სხვას როგორ შევკადრებ კრიტიკას ამ ჩვენს ქალაქში.
მათ ვლანძღავ, მერე ფულს ვაძლევ, ცუდი რა არის ამაში?
ზოგ-ზოგი მხვდება სიცილით, ზოგიც მიყურებს პირშავად
და მსურს, ავუხსნა ამჯერად, სიდედრმა რა დამიშავა:
ყველას მართალი ჰგონია, რაც რამ ხუმრობით დავწერე,
სხვას რა, სიდედრი რომ არ მყავს, ცოლიც კი ვერ დავაჯერე!
ამ სარვამარტოდ მეც მინდა ავწიო ერთი სასმისი:
ყველა სიდედრმა იცოცხლოს, არც ჩემი მძულს და არც სხვისი!

არგაბედო გაბედავა

ანა ლეხიცკა

ყოველივე კვლავ რიგზეა

კოვალსკა საავადმყოფოში იწვა. კოვალსკის პირდაპირ თავგზა აებნა.

კოვალსკი ღამით საავადმყოფოს კედელზე ძვრებოდა, რომ კოვალსკასათვის სარკმლიდან მურაბიანი ფუნთუშა გადაეცა.

კოვალსკი საავადმყოფოს მეგარდირობეს ქორწილამავდა და კოვალსკას ყოველდღე ლამაზი ყვავილების კონა მისდიოდა.

კოვალსკი მომვლელ ქალს ფულს აძლევდა, რომ მას კოვალსკასათვის საფეთქლებზე ოდეკოლონი მოესვა ხოლმე.

კოვალსკიმ მოწყალების და დაიქირავა, რომ მას უძილობის შემთხვევაში ღამღამობით კოვალსკასათვის წაეკითხა სათავგადასავლო რომანები.

კოვალსკის ყოველდღე სადილად მიჰქონდა კოვალსკასათვის შემწვარი ხბოს ხორცი...

ამ ცოტა ხნის წინ კოვალსკების ბინის ფანჯარას ჩავუარე.

— იდიოტო! — მომესმა მამაკაცის უხეში ხმა.

— ბანდიტო! — დაიწრიპინა ქალის დისკანტმა.

მერე ავეჯის მსხვრევის ხმა გავიგონე.

შვებით ამოვისუნთქე. ესე იგი, ყოველივე კვლავ რიგზეა. კოვალსკა გამოჯანმრთელებულა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ნახ. გ. ლეონიძისა

სარეკლამო ასოციაცია

ნახ. ელენა ბაბაევისა

— ამგობენ, ეგ ციგები სულ არ ცურავსო.
— როგორ გეკადრება, ჩვენ ამ ციგებით უკვე გაგვაცურეს ყიდვის დროს.

მეგობრული მისალმება

მივესალმები ყველა ქალს
რიდით და კრძალვით, შორიდან:
ბებიას, სიდედრს, დას, მძახალს,
დედამიცოლს, მულს, ცოლს, ცოლისდას...
თქვენმა რვა მარტის ზეიმმა
მსოფლიო გადააშუქა.
ერთსა გთხოვთ: კბილს ნუ უსინჯავთ
თქვენდამი მოძღვნილ საჩუქარს.
ჯერ არნასულად გამრავლდით
თქვენი ნაგრამით, ნამატით,
დღესასწაულად გექციოთ
ექვსიც, შვიდიც და ცხრა მარტიც!
ჩექმებიც მიგაქვთ, შინელიც,
ველფასიც მიგაქვთ „ვერსებით“,
შარვალი ადრე წაგვართვით...
ეაცი ვინდაა, ვერ ვხვდებით.
თქვენმა შემყურემ, გვითხარით,
სად, როგორ გავინაპიროთ?
ჩვენსავითა სვამთ ღვინოს
ჩვენსავით ქაჩავთ პაპიროს
ბატრიარქატი მობრუნდა,
თუ რა ხანაა ნანატრი?
ძმაო, თქვენ თუ ხართ კაცები,
მაშინ დაგვითმეთ რვა მარტი!
მაინც გილოცავთ ამ რვა მარტს,
ახალ სიხარულს, მრავლობას!
ვაშა თქვენს შრომას, თქვენს გარჯას,
ვაშა თქვენს კაცურ ქალობას!

რ. ოსეფაიშვილი

184
20.III-72

ერთი დღე უქალებოდ

ეხლოდ კაცებისთვის საგანგებოდ მოწვეული თათბირის დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა: „როგორ შევხვდეთ მიმდინარე წლის 8 მარტს“. უამრავ აზრთა გაცვლის შემდეგ ჩემს წინადადებას, — 7 მარტს ყველა ქალი გაგვეთავისუფლებინა სამუშაოდან, — დირექტორის ღიმილისა და თავის ქნევის წყალობით, წარმატება ხვდა წილად. შერით ავსილი კოლეგები ისეთი თვალებით შემომაცქერდნენ, ჩემი თავი მეგვე შემეცოდა.

7 მარტს უქალებოდ შევუდექით საქმეს. ფრიდონი იძულებით ჩამოაშორეს მეთოდისტის მოვალეობას და მდივნის საკარძელზე წამოასკუპეს. ძია ვარლამმა საბეჭდი მანქანის გვერდით ერთი თვის სამყოფი ქაღალდი დაასვა და კლავიშებს წადმა-უკუღმა დაუწყო თვალიერება. დანარჩენი სამუშაოებიც დამხმარე უნარის მიხედვით განაწილდა, ხოლო რაც შემეხება მე, როგორც რაციონალიზატორული წინადადების თავმომბეზრებელ ავტორს და „დაულაგებელ კაცს“, დამლაგებლობა მომანდეს.

...წერილებით დატვირთული ბუღალტერი, რომელსაც კურიერობა ერგო, დერეფანში ხვნემით წამომეწია და კბილებში გამოსცრა: აქამდე თუ მარტო უშვილობისას გიქვითავდი, დღეის შემდეგ უჭკუობისასაც დაგიქვითავო.

თითქოს ჯიბრზე გაჭიანურებული დღე დამთავრდა. დირექტორი ჩვენი ნაცოდვილარის შემოწმებას შეუდგა. ფრიდონს „პირნათლად“ შეესრულებინა მდივნის პასუხსაგები მოვალეობა... ხელში შემოფშვნოდა ტელეფონის ყურმილები; ძია ვარლამი ამაოდ ცდილობდა ერთმანეთში გადასლარული შრიფტის დაშორებას...

ბატონი შალვა მე მომიასლოდა, მზრუნველობით გადამისვა თავზე ხელი და მითხრა:

— მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდა გვყოლიხარ! ყოჩაღ, კარგად გიმუშავია! შენ ეს ამბავი ორშაბათს, თათბირზე შემახსენე, დამლაგებელი, მეონი, პენსიაზე აპირებს გასვლას!..

გ. ტორიაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ვიზო ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პასუხ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. დუმბაძე, (მთავარი რედაქტორი), ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ნ. უგელიძე, ო. ჯელიძე. ⊙ სარედაქციოს „ნიანგი“ ტელეფონები: რედაქტორი 8 ა. ეკიბალაშვილი, ⊙ თბილისის, 99-76-69 რედ. მოადგილეს 93-49-32 სპორტი 93-10-78. ⊙ საჩქარეველის ბანკ. ⊙ ⊙ ⊙

72-187
7
1972
Индекс 76137

ნახ. რ. სანაძერაძისა

— მომიყევით, როგორ მოხდა ყოველივე ეს?
— 8 მარტს მეუღლისათვის საჩუქარს ვეძებდი, კარგი ვერაფერი ვიშოვნე, სახლში ხელცარიელი დავბრუნდი და მერე არაფერი მახსოვს.

ნახ. ა. ერაძისა

როცა უფროსი ქალია

ნახ. ბ. ბაბუაძისა

წუნია ცოლი

ნახ. ვ. კუციასი

უტექსტო ხუმრობა

ნახ. ბ. ფირცხალავა



— თუ კაცი ხარ, მასწავლე, როგორ დაალწიე თავი ალიმენტების გადახდას!

ნახ. ვ. კუციასი

უტექსტო ხუმრობა